

მარტვილის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

მუხლი 16. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები,

მათი აღწერის, მოსალოდნელი შედეგებისა და შეფასების ინდიკატორები

მარტვილის მუნიციპალიტეტში 2014-2015 წლებში ბიუჯეტის სწორად დაგეგმვამ შემოსავლების გეგმიური მაჩვენებლების შესრულებამ და ცენტრალური ბიუჯეტიდან მიღებული ტრანსფერების მიზნობრივად მიმართვამ მნიშვნელოვნად გაუმჯობესა ინფრასტრუქტურა. შესაძლებელი გახდა ახალი გზების, ხიდ-ბოგირების მშენებლობა, წყლის სისტემების სათაო ნაგებობების მოწყობა და შიდა ქსელების რეაბილიტაცია, გარე განათების ახალი სისტემების მოწყობა რითაც გაუმჯობესდა მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის სოციალურ ეკონომიური მდგომარეობა შეიქმნა ახალი სამუშაო ადგილები, შესაძლებელი გახდა კულტურის, დასვენებისა და სპორტის ახალი ობიექტების ექსპლოატაციაში შესვლა და შესაბამისად ამ სფეროების განვითარება.

მომდევნო 2016-2019 წლებშიც მუნიციპალიტეტში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებას, მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესებას, საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის ხელშეწყობას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას, სკოლამდელი განათლების სრულყოფას.

მარტვილის მუნიციპალიტეტის ძირითადი პრიორიტეტებია:

- ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია;
- ეკოლოგია, დასუფთავება.
- კულტურისა და სპორტის განვითარება.
- განათლების, სკოლამდელი აღზრდის ხელშეწყობა, საბავშვო ბაღების გახსნა სოფლებში.
- მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.

2014-2015 წლების მოკლე მიმოხილვა

2014 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით, როგორც საშემოსავლო ასევე გადასახდელების მოცულობა განისაზღვრა 5726,1ათ. ლარის ოდენობით, მ.შ ადგილობრივი შემოსავლებია 612,0ათ. ლარი. გათანაბრებითი ტრანსფერია 4951,1ათ. ლარი, მიზნობრივი ტრანსფერია დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 163,0 ათ. ლარი, ხოლო 2000,1ათ. ლარი არის 2013წლის გარდამავალი ნაშთი. დაზუსტებული ბიუჯეტი 1დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 11,760,9 ათ.

ლარს. სულ რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილია 2861,1 ათ. ლარი, კერძოდ: სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებებისათვის 55,0 ათ. ლარი; საქრთველოს მთავრობის 2013 წელის 3 ივლისის №693 და 6 სექტემბრის №1234 განკარგულებით 2013 წელს ნაკისრი ვალდებულებების დასაფინანსებლად სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ გამოუყო 83,3 ათ. ლარი; მარტვილი სერგიეთი-აბედათის გზის და სოფ. დიდიჭყონი-ლედგებე-გურძემი-კიწია-ნოღას დამაკავშირებელი გზის ასფალტობეტონის საფარით მოწყობის სამუშაოებისათვის 1952,8 ათ. ლარი, მარტვილის ცენტრალური სტადიონის რეაბილიტაციისათვის 621,0 ათ. ლარი, 2014 წლის 26 აგვისტოს №1480 განკარგულებით, სტიქიის სალიკვიდაციო ინფრასტრუქტურული სამუშაოების პროექტირებისათვის 9,0 ათ.ლარი, 2014 წლის 30 დეკემბრის №2551 განკარგულებით, სტიქიის შედეგებისსალიკვიდაციო პირველი ეტაპის საამშენებლო სამუშაოების განსახორციელებლად 140,0 ათ.ლარი.

2014 წლის მარტვილის მუნიციპალიტეტის მიერ მობილიზებულმა სახსრებმა დაზუსტებული ბიუჯეტით შეადგინა სულ 9795,7 ათ. ლარი, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეულმა გადასახდელებმა შეადგინა 10767,8 ათ. ლარი, საკუთარი შემოსავლები შეადგენს 688,5 ათ. ლარს, ხოლო გარდამავალი ნაშთი შეადგენს 1004,8 ათ. ლარს.

2015 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით, როგორც საშემოსავლო ასევე გადასახდელების მოცულობა განისაზღვრა 6000.0 ათ. ლარის ოდენობით მ.შ ადგილობრივი შემოსავლებია 553,0ათ. ლარი. გათანაბრებითი ტრანსფერია 5322.5 ათ. ლარი, მიზნობრივი ტრანსფერია დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 163,0 ათ. ლარი, ხოლო 1004.8 ათ. ლარი არის 2014 წლის

გარდამავალი ნაშთი. დაზუსტებული ბიუჯეტის შემოსავლები 30 სექტემბრის მდგომარეობით შეადგენს 9795,7 ათ. ლარს. 2015 წლის 3 თებერვლის N121 განკარგულებით რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილია 2612,7 ათ. ლარი, დიდიჭყონი-ლედგებე-გურძემი-კიწია-ნოდს დამაკავშირებელი გზის (მე-2 ეტაპის) სამუშაოებისათვის 1610,0 ათ. ლარი; სოფ.სალხინოსა და წაჩხურას უბნის დამაკავშირებელი გზის ა/ბეტონის საფარით რეაბილიტაციისათვის 1000,0 ათ. ლარი და მარტვილის მუნიციპალიტეტის ზ. ანჯაფარიძის სამუსიკო სკოლის შენობის რეაბილიტაციის საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვისათვის 2.7 ათ.ლარი, 18 მაისის N994 განკარგულებით მარტვილის მუნიციპალიტეტის ზ. ანჯაფარიძის სამუსიკო სკოლის შენობის რეაბილიტაციისათვის გამოყოფილია 96,7 ათ. ლარი. 2015 წლის 12 მარტის N506 განკარგულებით სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გამოყოფილია 1148,7 ათ. ლარი, 29 ივნისის N1381 განკარგულებით სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით გამოიყო 500,0 ათ. ლარი.

1. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება

მარტვილის მუნიციპალიტეტში საზოგადოებრივი წესრიგის და უსაფრთხოების, აგრეთვე საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების დაცვა ხორციელდება შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების მიერ.

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის მარტვილის მუნიციპალიტეტში ხორციელდება წვევამდელთა შერჩევა და მათი გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფა.

პროგრამ. კოდი	დასახელება	2014წლის ფაქტი	2015წლის გეგმა	16წლისპროექტი	2017წლის პროგნოზი	2018წლის პროგნოზი	2019წლის პროგნოზი
02 00	თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	300,0	289,9	285,7	73,3	73,3	73,3
02 01	საგანგებო სიტუაციების მართვა	223,1	221,8	0,0	0,0	0,0	0,0
02 03	ქვეყნის თავდაცვის უნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა	77,0	68,1	79,8	73,3	73,3	73,3

02 01 ქვეყნის თავდაცვის უნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 02 03)

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის მარტვილის მუნიციპალიტეტში ხორციელდება წვევამდელების შერჩევა და გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფა.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- სამხედრო აღრიცხვის და გაწვევის კოორდინაცია;

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- საქართველოს სამხედრო ძალების ჯანმრთელი ახალგაზრდა თაობით უზრუნველყოფა.

2. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტია. ამ პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, ქალაქის საცხოვრებელი უბნების ეზოების, დასასვენებელი პარკების და მაღალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების კეთილმოწყობა,

გაზომომარაგებისა და წყალმომარაგების სამუშაოები, მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული

ინფრასტრუქტურის მოვლა შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

ბორამული კოდი	დასახელება	2014ფაქტი	2015 წლისგეგმა	2016 წლის პროექტი	2017 წლის პროგნოზი	2018 წლის პროგნოზი	2019 წლის პროგნოზი
03 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	6480,3	6100,9	1152,0	1227,0	1217,0	1237,0
03 01	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა (გზები და ხიდები)	2095,7	2414,2	180,0	180,0	200,0	200,0
03 01 01	გზების მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა	2002,7	2364,2	110,0	80,0	100,0	100,0
03 01 02	ხიდ-ბოგირები მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა	93,0	50,0	70,0	100,0	100,0	100,0
03 02	კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	570,6	916,7	497,0	405,0	335,0	335,0
03 02 01	შენობების და სახურავების რეაბილიტაცია, რეკონსტრუქცია	292,3	520,1	200,0	50,0	50,0	50,0
03 02 02	გარე განათების მოწყობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	133,4	170,0	180,0	180,0	180,0	180,0
03 02 03	წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	71,0	25,0	15,0	70,0	70,0	70,0
03 02 04	პარკების სკვერებისა და მათი მიმდებარე ინფრასტრუქტურის მოწყობა	34,9	80,0	30,0	50,0	10,0	10,0
03 02 05	საპროექტო-სახარათადრიცხო და ექსპერტიზის ხარჯები	32,2	74,4	50,0	50,0	40,0	40,0
03 02 06	გზის მიღების გაყვანის ხარჯები	1,7	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
03 02 07	საკანალიზაციო სისტემების მოწყობა-რეაბილიტაცია	5,1	47,2	22,0	15,0	15,0	15,0
03 03	საკადასტრო რუკების მომზადება	0,2	1,0	5,0	1,0	2,0	2,0
03 04	სანიაღვრე არხებისა და ნაპირსამაგრი ჯებირების მშენებლობა-რეაბილიტაცია	100,0	30,0	80,0	30,0	50,0	50,0
03 05	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	1150,5	1305,3	0,0	0,0	0,0	0,0
03 06	კეთილმოწყობის ცენტრი	433,9	354,8	390,0	550,0	550,0	550,0
03 07	სპორტული მოედნების მოწყობა	542,8	237,3	0,0	40,0	50,0	70,0
03 08	სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშეოები	1586,5	841,6	0,0	0,0	0,0	0,0

2.1 საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა (გზები და ხიდები პროგრამული კოდი 03 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული რეაბილიტირებული ცენტრალური გზების მდგომარეობის შენარჩუნება და შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია.

2.1.1 გზების მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა(პროგრამული კოდი 03 01 01) პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული რეაბილიტირებული ცენტრალური გზების მდგომარეობის შენარჩუნება და შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია.მარტვილის მუნიციპალიტეტის შიდა გზები დაახლოებით 1000-კმ.აჭარბებს აქედნ გამომდინარე შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაციასა მოწყობის საკითხი მუნიციპალიტეტისთვის ერთერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- მგზავრთა შეუფერხებელი, კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილება.
- ბაზრებისადმი ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება.
- სკოლებთან და ჯანდაცვის ობიექტებთან გადაადგილების ხელშეწყობა.
- ტურიზმის ობიექტებთან მარტივად დაკავშირება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- გზების გასწვრივ მცხოვრები ოჯახების მდგომარეობის გაუმჯობესება.
- ბაზრებზე ფერმერების რაოდენობის მაჩვენებლების ზრდა.
- სკოლებთან და ჯანდაცვის ობიექტებთან მგზავრობის (მისვლის) დროის შემცირება.
- საგზაო შემთხვევების შემცირებული რაოდენობა.
- რეაბილიტირებული გზების ზრდა.

2.1.2 ხიდ-ბოგირები მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა (პროგრამული კოდი 03 0102)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული რეაბილიტირებული ხიდ-ბოგირების მდგომარეობის შენარჩუნება და მუნიციპალიტეტის სოფლებში ხიდ-ბოგირების რეაბილიტაცია. მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ წლებში როგორც „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ ასევე ადგილობრივი ბიუჯეტით და სტიქიის კუთხით გამოყოფილი თანხებით უამრავი ხიდისა და ბოგირების რეაბილიტაცია მოხდა, მაინც არის ობიექტები რომელთა რეაბილიტაციაც აუცილებელია.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- კონკრეტული უბნის მოსახლეობის შეუფერხებელი, კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- საგზაო შემთხვევების შემცირებული რაოდენობა და სატრანსპორტო მიმოსვლის დროის შემცირება.

2.2 კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 02)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების კეთილმოწყობა, გარე განათების ქსელის გაფართოება, წყალსადენის ქსელის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები, არსებული სკვერებისა და პარკების მოვლა, ახალი ხეების დარგვა და გამწვანების ზოლებში ყვავილებისა და სხვა დეკორატიული მცენარეების განაშენიანება, არსებული შადრევნების ექსპლოატაცია და საჭიროების შემთხვევაში მათი რეაბილიტაცია.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- განათებული ქალაქი;
- მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება.
- წყლით უზრუნველყოფილი მოსახლეობა. მოსახლეობის 80 % ექნება სასმელი წყალის 24 საათიანი მიწოდება.
- მუნიციპალიტეტის მოსახლეობის დასასვენებელი ადგილებით უზრუნველყოფა დღე-ღამის ნების მიერ დროს;
- ქალაქის ინფრასტრუქტურის იერსახის გაუმჯობესება;

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- საცხოვრებელი კორპუსების და მათი ეზოების მდგომარეობა;
- ქუჩების განათების 100%-იანი მაჩვენებელი.
- სასმელი წყლის შეუფერხებლად მიწოდება.

2.2.1 შენობების და სახურავების რეაბილიტაცია, რეკონსტრუქცია (პროგრამული კოდი 03 02 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილიამარტვილის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლის საწვრთნელი ბაზისსახურავის რებილიტაცია; მუნიციპალიტეტის სოფლებში გამგებლის წარმადგენლის ადმინისტრაციული შენობების და საბავშვო ბაღების შენობების რეაბილიტაცია.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- რეაბილიტირებული და კეთილმოწყობილი ადმინისტრაციული შენობები და საცხოვრებელი კორპუსები.
- ზემოთ ჩამოთვლილ ტერიტორიულ ორგანოებში შეიქმნება მუშაობის ნორმალური პირობები.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- მუნიციპალური სერვისების მიღების გაუადვილებლობა დაახლოებით 10000 ოჯახს.
- მოსახლეობისათვის სათანადო პირობებში სახელმწიფო მომსახურების გაწევა.

2.2.2 გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 02)

დღე-ღამის ნებისმიერ დროს მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის განათება, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია, რეაბილიტირებულ გზებზე და შიდა კვარტალურ ეზოებში ახალი წერტილების მოწყობა. ქალაქის იერსახის შენარჩუნებისა და შემდგომი გაუმჯობესების მიზნით დეკორატიული მინათებების მოწყობა.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- ფეხით მოსიარულეთა და სატრანსპორტო მოძრაობის უსაფრთხო გადაადგილება დღეღამის პერიოდში ქალაქის ინფრასტრუქტურის იერსახის გაუმჯობესება;

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

განათებული ქუჩები 20000 მოსახლეს მოიცავს.

2.2.3 წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია(პროგრამული კოდი 03 02 03)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული წყალსადენის ქსელის რეაბილიტაცია-ექსპლოატაცია.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფა დღე-ღამის ნების მიერ დროს;
- მოწესრიგებული სასმელი წყლის სისტემა.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- მოსახლეობისათვის 24 საათიანი წყლის მიწოდება.

2.2.4 პარკების სკვერებისა და მათი მიმდებარე ინფრასტრუქტურის მოწყობა (პროგრამული კოდი 03 02 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება არსებული სკვერებისა და პარკების მოვლა, ფეხით მოსიარულეთა ტროტუარების მოწყობა, სადღესასწაულო დღეებისათვის ქალაქის გაფორმება, ახალი ხეების დარგვა და გამწვანების ზოლებში ყვავილებისა და სხვა დეკორატიული მცენარეების განაშენიანება, არსებული შადრევნების ექსპლოატაცია და საჭიროების შემთხვევაში მათი რეაბილიტაცია.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- მუნიციპალიტეტის მოსახლეობის დასასვენებელი ადგილებით უზრუნველყოფა დღე-ღამის ნების მიერ დროს;
- ქალაქის ინფრასტრუქტურის იერსახის გაუმჯობესება;

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება.
- დასვენებისა და გართობის ადგილების კეთილმოწყობა. (2 პარკის და 4 სკვერის).

2.2.5საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და ექსპერტიზის ხარჯები (პროგრამული კოდი 03 02 05)
პროგრამის ფარგლებში განხორციელდება 2015 წელს შესასრულებელი სამუშაოების პროექტირებისა და შესრულებული სამუშაოების ექსპერტიზის ხარჯები. რაც განაპირობებს ხარისხიან ხარისხიანად კარგად შესრულებულ სამუშაოებს.

2.3სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა (პროგრამული კოდი 03 03)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში სანიაღვრე არხებისა და ნაპირსამაგრი ჯებირების მშენებლობა-რეაბილიტაცია, საკადასტრო რუკების მომზადება, სოფლის მხარდაჭერის პოგრამით გათვალისწინებული პროექტები.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- მოწესრიგებული სანიაღვრე და საკანალიზაციო სისტემები, დაცული სასოფლო სამეურნეო სავარგულები, საყანე ფართობები და საკარმიდამო ნაკვეთები.
- სოფლებში ინფრასტრუქტურული იერსახის გაუმჯობესება;
- სოფლის მოსახლეობის ჩართულობა მათთვის საჭირო პროექტების არჩევაში და განხორციელებაში.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება.
 - წყალდიდობისაგან და სხვა სტიქიური მოვლენებისგან დაცული მოსახლეობა.
- განათებული ქუჩების რაოდენობის ზრდა.
- რეაბილიტირებული შიდა სასოფლო გზების, ხიდ-ბოგირების, საცალფეხო ხიდების და სხვა ობიექტების მდგომარეობის გაუმჯობესება.

2.3.1 საკადასტრო რუკების მომზადება(პროგრამული კოდი 03 03) საკადასტრო ნახაზების ელექტრონული ვერსიების მომზადება.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- საკადასტრო ნახაზები მომზადდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სასოფლო და არასასოფლო მიწების პრივატიზებისათვის.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- პრივატიზებული მიწები.

2.3.2სანიაღვრე არხებისა და ნაპირსამაგრი ჯებირების მშენებლობა-რეაბილიტაცია, (პროგრამული კოდი 03 04) პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სანიაღვრე არხების მოწყობა, ასევე

წყალსაწრეტი არხები და ნაპირსამაგრი ჯებირების მოწყობა.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- მოწესრიგებული სანიაღვრე და საკანალიზაციო სისტემები, დაცული სასოფლო სამეურნეო სავარგულები, საყანე ფართობები და საკარმიდამო ნაკვეთები.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება.
- წყალდიდობისაგან და სხვა სტიქიური მოვლენებისგან დაცული მოსახლეობა.

2.3.3სოფლის მხარდაჭერის პროგრამა(პროგრამული კოდი 03 05)

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სოფლის მოსახლეობის მიერ სასოფლო კრებებზე მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად გამოვლენილი ინფრასტრუქტურული სამუშაოები. სოფლის მეურნეობაში განსახორციელებელი პროექტების მხარდაჭერის მიზნით ვითვალისწინებთ(სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ბოსტნელი, მარცვლეული და მრავალწლიანი კულტურების ახალი ჯიშების სადემონსტრაციო საცდელი ნაკვეთების მოწყობის თანადაფინანსების და ასევე სოფლის მეურნეობის განვითარების მიზნით სამინისტრო მიერ დაგეგმილი ღონისძიებების თანადაფინანსების აუცილებელი ხარჯების გასაწევად).

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- სოფლის მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება.
- სოფლებში ინფრასტრუქტურული იერსახის გაუმჯობესება;
- სოფლის მოსახლეობის ჩართულობა მათთვის საჭირო პროექტების არჩევაში და განხორციელებაში.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- განათებული ქუჩების რაოდენობის ზრდა.
- რეაბილიტირებული შიდა სასოფლო გზების, ხიდ-ბოგირების, საცალფეხო ხიდების და სხვა ობიექტების მდგომარეობის გაუმჯობესება.

2.3.4 კეთილმოწყობის ცენტრი. (პროგრამული კოდი 03 06) აღნიშნული პროგრამის მიხედვით შექმნილია კეთილმოწყობის ცენტრი რომლის ფარგლებშიც ხორციელდება შემდეგი ღონისძიებები: ქალაქის დაგვა-დასუფთავება, მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან ნარჩენების გატანა, მწვანე საფარის მოვლა პატრონობა, გარე განათების სერვისის მოვლა, შადრევნებისა და აუზების, წყლის სისტემების გამართულად ფუნქციონირების უზრუნველყოფა, ტროტუარებისა და ბორდიურების კეთილმოწყობა, ქალაქის ტერიტორიის მოხეტიალე პირუტყვისაგან დაცვა.ქ. მარტვილის საზაგრო გზის მომსახურება. მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული სპეც. ტექნიკის გრეიდერის მოვლა-შენახვა და მუნიციპალიტეტის საჭიროებიდან გამომდინარე სამუშაოების შესრულება.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- მუნიციპალიტეტის მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება.
- მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული იერსახის გაუმჯობესება;

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- კეთილმოწყობილი ტერიტორიების ზრდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.
- განათებული ქუჩების რაოდენობის ზრდა.
- კეთილმოწყობილი აუზები შადრევნები.
- გამწვანებული და მოვლილი ტერიტორიები.
- მოსარგებლეთა რაოდენობა 8000.

3. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

მარტვილის მუნიციპალიტეტში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- სკოლამდელი განათლების განვითარების ხელშეწყობა.
- რეაბილიტირებული და განახლებული ბაგა- ბაღები და საჯარო სკოლები.
- მოსწავლე- ახალგაზრდობის განათლების განვითარებისთვის ხელშეწყობა.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- სკოლამდელი ასაკის ბავშვების ზოგადი განათლების მაღალი დონე.
- შეუფერხებელი სასწავლო პროცესი.

პროგრამული კოდი	დასახელება	2014 წლის ფაქტი	15წლისგეგმა	2016 წლის პროექტი	2017 წლის პროგნოზი	2018წლის პროგნოზი	2019 წლის პროგნოზი
04 00	განათლება	592,0	600,4	845,0	895,0	945,0	995,0
04 01	სკოლამდელი განათლების დაფინანსება	508,0	570,0	825,0	870,0	920,0	970,0

პროგრამული კოდი	დასახელება	2014 წლის ფაქტი	15წლისგეგმა	2016 წლის პროექტი	2017 წლის პროგნოზი	2018წლის პროგნოზი	2019 წლის პროგნოზი
04 02	საჯარო სკოლების დაფინანსება	19,0	12,0	20,0	25,0	25,0	25,0
04 03	მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი	65,0	18,4	0,0	0,0	0,0	0,0

3.1. სკოლამდელი განათლება (პროგრამული კოდი 04 01)

მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 16 საბავშვო ბაღი, სადაც დაწყებით განათლებას იღებს 860 ბავშვი. დაგეგმილია ორი საბავშვო ბაღის გახსნა. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, მათ შორის ბავშვების კვების ხარჯების, მასწავლებელთა და აღმზრდელთა ხელფასებს, ბაღების რეაბილიტაციისა და სხვა მიმდინარე ხარჯებს.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- სკოლამდელი ასაკის ბავშვების მომზადება, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისათვის, მათი უნარის განვითარება და კულტურული მომზადების ხელშეწყობა.
- ოჯახების ხელშეწყობა ბავშვებისათვის სკოლამდელი განათლების მიღებაში.
- სკოლამდელი განათლების განვითარების ხელშეწყობა.
- ახალი ბაგა-ბაღების გახსნა.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- სკოლამდელი ასაკის ბავშვების ზოგადი განათლების მაღალი დონე.
- ბაღებში ბავშვების რაოდენობის გაზრდა.
- მასწავლებელთა კვალიფიკაციის გაზრდა.
- საბავშვო ბაღებზე გაწეული დანახარჯების ეკონომიის შედეგად ოჯახების შემოსავლი გაიზრდება 15-30 ლარით.
- ბავშვების მოვლაზე დედების დროის ეკონომია.
- 1 აღსაზრდელზე კვებაზე დახარჯული თანხაა 14 (მინ. 9- მაქს. 21) ლარი.
- ერთ აღსაზრდელზე მთლიანი დანახარჯი 790 ლარია.
- მოსწავლე/მასწავლებლის თანაფარდობა (საშუალოდ) 17(მინ10-მაქ.21).

3.2 საჯარო სკოლების დაფინანსება (პროგრამული კოდი 04 02) პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია საჯარო სკოლებისათვის ფინანსური დახმარების გაწევა (რეაბილიტაციის მიზნით).

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- რეაბილიტირებული და განახლებული საჯარო სკოლები.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- შეუფერხებელი სასწავლო პროცესი.

4. კულტურა, რელიგია ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდობის მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება. ასევე ახალგაზრდობაში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გასატარებელ ღონისძიებებს;

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- სპორტული მიღწევების გაუმჯობესება. ახალგაზრდობის ჩართულობა მარტვილის მუნიციპალიტეტის კულტურულ ცხოვრებაში. ხალხური ცეკვისა და სიმღერის ანსაზღვრების მხარდაჭერა

და პოპულარიზაცია. სამეცნიერო შემეცნებითი კონფერენციების, პოზიისა და პროზის საღამოების მოწყობა და მხარდაჭერა.

- მუსიკალური მიღწევების გაუმჯობესება.
- ინფორმირებული მოსახლეობა.
- ახალგაზრდა თაობის ჩართულობა მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობასა და მის განვითარებაში.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- სპორტის მასობრიობა და პოპულარიზაცია.
- უფრო მეტი მოზარდი თაობის მონაწილეობა და ჩაბმა სპორტულ გამაჯანსაღებელ საქმიანობაში.
- ჯანსაღი თაობის აღზრდა.
- მარტვილის მუნიციპალიტეტში კულტურული დონის

პროგრამული კოდი	დასახელება	014წლის ფაქტი	2015წლ სგეგმა	2016წლის პროექტი	2017წლის პროგნოზი	2018წლის პროგნოზი	2019წლის პროგნოზი
05 00	კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	943,0	1097,6	1225,0	1270,0	1275,0	1275,0
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	376,0	411,5	450,0	430,0	430,0	430,0
05 02 01	სპორტული სკოლა	205,0	220,	235,0	220,0	220,0	220,0
05 02 02	საფეხბურთო სკოლა	171,0	191,5	215,0	210,0	210,0	210,0
05 02	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	506,2	616,1	705,0	770,0	775,0	775,0
02 02 01	კულტურის ცენტრი	349,3	73,7	0,0	0,0	0,0	0,0
02 02 02	მუსიკალურისკოლისდაფინანსება	99,0	82,5	90,0	100,0	100,0	100,0
02 02 03	კულტურულიდასპორტული ღონისძიებებისდაფინანსება	47,8	92,0	60,0	60,0	60,0	60,0
02 02 04	ტელერადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	10,0	15,0	20,0	10,0	10,0	10,0
02 02 05	კულტურისა და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრი	0,0	208,2	325,0	330,0	330,0	330,0
02 02 06	მხარეთმცოდნეობის მუზეუმი	0,0	144,7	210,0	200,0	200,0	200,0
02 03	ახალგაზრდულიპროგრამები სდაფინანსება	20,8	20,0	20,0	20,0	25,0	25,0
02 04	რელიგიურიღონისძიებებისდაფინანსება	40,0	50,0	50,0	50,0	50,0	50,0

4.1 სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების და კლუბების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება. 2015 წლის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში გაიმართება სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებები.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- სპორტული მიღწევების გაუმჯობესება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- სპორტის მასობრიობა და პოპულარიზაცია.

4.1.1 სპორტული სკოლა. (პროგრამული კოდი 05 01 01) სპორტსკოლაში სწავლობს 312 მოსწავლე, მ.შ. 72 გოგონა და 240 ბიჭი. ფუნქციონირებს 14 ჯგუფი ჭადრაკის, ბერძნულ რომაული ჭიდაობის, ძიუდოს, რაგბის, მძლეოსნობის, უშუს, კინბოქსინგის, კრივის, ტაეკვანდოს, ტანვარჯშის ჯგუფები.

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ჭადრაკის, ბერძნულ რომაული ჭიდაობის, ძიუდოს, რაგბის, მძლეოსნობის, უშუს, კიკბოქსინგის, კრივის, ტანვარჯშის ჯგუფების მონაწილეობა საქართველოს ჩემპიონატებში, სხვადასხვა რეკორდსმენების სახელობის ტურნირებში, რეგიონალურ ჩემპიონატებში, შესარჩევ ტურნირებში.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- სპორტული მიღწევების გაუმჯობესება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- სპორტის მასობრიობა და პოპულარიზაცია. 312 ახალგაზრდაა ჩართული სპორტში (მათი წვრთვნისთვის განკუთვნილია 2 დარბაზი და 8 მოედანი.
- უფრო მეტი მოზარდი თაობის მონაწილეობა და ჩაბმა სპორტულ გამაჯანსაღებელ საქმიანობაში.
- სპორტულ ღონისძიებაში მონაწილეობის მაჩვენებლები.

4.1.2 საფეხბურთო სკოლა. (პროგრამული კოდი 05 01 02) საფეხბურთო სკოლაში ფუნქციონირებს 11 ჯგუფი, სადაც სწავლობს 190 მოსწავლე.

პროგრამის ფარგლებში საფეხბურთო სკოლის გუნდების მონაწილეობა დაგეგმილია რეგიონალურ შეჯიბრებებში და ასევე მუნიციპალიტეტის სოფლებს შორის ჩემპიონატში; საჯარო სკოლებს შორის ჩემპიონატში 4 ასაკობრივ ჯგუფში; წარმოება- დაწესებულებებს შორის ჩემპიონატში მინი ფეხბურთში; საჯარო სკოლებს შორის ჩემპიონატში 2 ასაკობრივ ჯგუფში.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- სპორტული მიღწევების გაუმჯობესება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ჯანსაღი თაობის აღზრდა.
- სპორტულ ღონისძიებაში მონაწილეობის მაჩვენებლები.

4.2 კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- ახალგაზრდების ჩართულობა მარტვილის მუნიციპალიტეტის კულტურულ ცხოვრებაში. ხალხური ცეკვისა და სიმღერის ანსაზღვრების მხარდაჭერა და პოპულარიზაცია.
- მუსიკალური მიღწევების გაუმჯობესება.
- მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ინფორმირება ადგილობრივი პრესით და ტელევიზიით.
- ახალგაზრდა თაობის ჩართულობა მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობასა და მის განვითარებაში.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- მოსახლეობის ჩართულობა მუნიციპალიტეტში მიმდინარე და დაგეგმილ ღონისძიებებში.
- მუსიკის მასობრიობა და პოპულარიზაცია. ფუნქციონირებს 4 ანსამბლი, 3 წრე და 2 გუნდი. მასში დაკავებულია 380 ბავშვი. მ.შ 245 გოგო და 135 ბიჭი.
- ნიჭიერი ახალგაზრდების გამოვლენა და წახალისება.

4.2.1 მუსიკალური სკოლა. (პროგრამული კოდი 05 02 02)

მუსიკალურ სკოლაში სწავლობს 150 -მდე მოსწავლე, მ. შ 100 გოგო და 50 ბიჭი; ფუნქციონირებს ფორტეპიანოს და საგუნდო განყოფილება (9 ჯგუფი), სოლფეჯიოს 22 ჯგუფი, მუსიკის ლიტერატურის 9 ჯგუფი, ფოლკლორის 2 ჯგუფი. ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შიდა ღონისძიებები, ღია და დახურული კონცერტები, ღია გაკვეთილები, ტექნიკური ჩათვლები.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- მუსიკალური მიღწევების გაუმჯობესება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- მუსიკის მასობრიობა და პოპულარიზაცია.

4.2.2 კულტურული ღონისძიებები. (პროგრამული კოდი 05 02 03)

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ჭყონდიდლობის დღესასწაულის, ფოლკლორული ფესტივალების და სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებების დაფინანსება. ასევე დაგეგმილია საფეხბურთო კლუბ „მერანის“-ისთვის დახმარების გაწევა, თანადაფინანსება.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- მარტვილის მუნიციპალიტეტში რელიგიურად, კულტურულად და ისტორიულად მნიშვნელოვანი ძეგლების აღწერა და დაცვა. მარტვილის მუნიციპალიტეტში ტურისტულად საინტერესო ადგილების პოპულარიზაცია და რეკლამირება ტურისტების მოზიდვის მიზნით.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- მარტვილის მუნიციპალიტეტში კულტურული ღონის ამღობა და ტურიზმის განვითარება მუნიციპალიტეტში.

4.2.3 ტელერადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა. (პროგრამული კოდი 05 02 04)

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია საინფორმაციო ბუკლეტებისა და ჟურნალების გამოცემა. ასევე მოსახლეობის ინფორმირების მიზნით მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ხელშეკრულების საფუძველზე მოხდება მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროექტებისა და პროგრამების გაშუქება.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- ინფორმირებული მოსახლეობა.
 - მასმედიის მედიატორის როლის გაძლიერება ხელისუფლებასა და მოსახლეობას შორის;
 - მას მედიის საშუალებით მუნიციპალიტეტის საქმიანობის ინფორმირებულობა;
- ### შედეგების შეფასების ინდიკატორები:
- მოსახლეობის ჩართულობა მუნიციპალიტეტში მიმდინარე და დაგეგმილ ღონისძიებებში.
 - მოსახლეობის ინფორმაციული უზრუნველყოფის გაზრდა. მუნიციპალიტეტის საქმიანობის გამჭვირვალობის გაზრდა.

•

4.2.4 კულტურისა და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრი (პროგრამული კოდი 05 02 05)

